არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

"საქართველოს ფიზიკის სტუდენტთა ასოციაცია" (ს/ნ 405337755)

წესდება

დამტკიცებულია 2021 წლის 31 ოქტომბრის საერთო კრებაზე (გადაწყვეტილება N R1/21).

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება

1.1. ასოციაციის სრული სახელწოდებაა ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "საქართველოს ფიზიკის სტუდენტთა ასოციაცია"; ინგლისურად: Non-commercial Legal Entity "Georgian Association of Physics Students";

1.2. ასოციაციის შემოკლებული სახელწოდებაა: ქართულად: "სფსა"; ინგლისურად: "GAPS".

მუხლი 2. ასოციაციის სამართლებრივი მდგომარეობა / სტატუსი

2.1. საქართველოს ფიზიკის სტუდენტთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია") წარმოადგენს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ გაერთიანებას, რომელიც შექმნილია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2.2. ასოციაცია არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იურიდიული პირის უფლებებს ასოციაცია იძენს დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.3. ასოციაცია უფლებამოსილია ჰქონდეს ბეჭედი და ბლანკი, რომელიც შეიცავს მის სრულ სახელწოდებას. ასოციაცია უფლებამოსილი ჰქონდეს საკუთარი ემბლემა და სიმბოლიკა, უფლებამოსილია ჰქონდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები.

2.4. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე ასოციაცია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

2.5. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად ასოციაცია უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში.

2.6. ასოციაცია საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს თავისი ქონებით. ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი მისი წევრების ან/და ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლების მქონე პირების ვალდებულებებისათვის.

2.7. ასოციაცია უფლებამოსილია დააფუძნოს ფილიალები/წარმომადგენლობები საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

2.8. ასოციაციის ადგილსამყოფელია/იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა #22ა.

2.9. ასოციაციის ელექტრონული მისამართია: gaps.geo@gmail.com

2.10. ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

თავი II. ასოციაციის მიზნები და საქმიანობა

მუხლი 3. ასოციაციის მიზნები

3.1. ასოციაციის მიზანია:

i. საქართველოს მასშტაბით გააერთიანოს ფიზიკით, როგორც სამეცნიერო სფეროთი დაინტერესებული სტუდენტები და ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებას;

ii. საქართველოს მასშტაბით სტუდენტების გონებრივი რესურსის გამოყენებით (როგორც საგანმანათლებლო, ასევე მეცნიერული საქმიანობით) ხელი შეუწყოს ქვეყანაში ფიზიკის, როგორც სამეცნიერო სფეროს განვითარებას და პოპულარიზაციას;

iii. წარმოადგინოს საქართველო საერთაშორისო კონკურსებსა თუ სხვა სახის აქტივობებში.

მუხლი 4. ასოციაციის საქმიანობა

4.1. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგ სახის საქმიანობა:

ა. ორგანიზება გაუწიოს საგანმანათლებლო ხასიათის პროექტებს (სამეცნიერო პიკნიკები, საჯარო ლექციები, კონფერენციები, სამეცნიერო სემინარები);

ბ. ორგანიზება გაუწიოს ოლიმპიადებს ან/და კონკურსებს;

გ. თარგმნოს წიგნები, სტატიები ნაშრომები და სხვა მსგავსი ტიპის ლიტერატურული მასალა;

დ. ელექტრონული ან ბეჭდური ფორმით გამოსცეს ასოციაციის ჟურნალი ან/და სხვა პერიოდული გამოცემები;

ე. ქართულ ენაზე შექმნას და განაახლოს ონლაინ სივრცეში ფიზიკასთან და მონათესავე დარგებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია;

ვ. ითანამშრომლოს უნივერსიტეტებთან და სხვა სამეცნიერო/სასწავლო დაწესებულებებთან;

ზ. მონაწილეობა მიიღოს როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში და ასოციაციის სახელით წარადგინოს მისი წევრები ნებისმიერი სახის პროექტში;

თ. ჰქონდეს ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ასოციაციის მიზნების განხორციელებისათვის, და ამავე მიზნების მისაღწევად მათი წევრი;

ი. საწესდებო მიზნების მისაღწევად განახორციელოს ნებისმიერ საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. ასოციაციას უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

თავი III. ასოციაციის წევრობა

მუხლი 5. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები

5.1. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები არიან:

- **გიორგი ჭანტურია**
  (პ/ნ 01005044561; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, III კვარტალი, კორპუსი 27, ბინა 8);
- **თამარი მეშველიანი**
  (პ/ნ 01019060901; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ს. ჟღენტის შეს. N5 (ყოფ. ჩაბალის შეს.));
- **ქეთევან დანელია**
  (პ/ნ 01019081520; იურიდიული მისამართი: შალვა ცინცაძის I შესახვევი, #35 (ყოფ. ჩაპიევის I შესას.));
- **მარიამი ბაღიშვილი**
  (პ/ნ 62001044164; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის III მასივი ზემო პლატო კორ. 20ბ. 3);
- **მარიამ არუსტაშვილი**
  (პ/ნ 01024081174; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა #22ა, ბინა #26);
- **ცოტნე დადიანი**
  (პ/ნ 01027074592; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ. II მ/რ, II კვ. კორ. 7ბ. 76ა);
- **ელენე კრავიშვილი**
  (პ/ნ 60001147398; იურიდიული მისამართი: ქ. ქუთაისი, მიხეილ ბუხაიძის ქუჩა N 19, ბინა #85);
- **გიორგი ბუთბაია**
  (პ/ნ 01024088446; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. #39, ბინა #64).

მუხლი 6. ასოციაციის წევრი; ასოციაციის წევრად მიღება

6.1. წინამდებარე წესდებით დგინდება ასოციაციის წევრის ორი სტატუსი:
ა. სრული წევრი;
ბ. ასოცირებული წევრი.

6.2. მხოლოდ სრულ წევრებს გააჩნიათ ასოციაციის მართვის ორგანოებში კანდიდატების წარდგენის, გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობისა და ხმის უფლება. ასოცირებული წევრები კი სარგებლობენ მხოლოდ ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა სემინარებში, პროგრამებსა და მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების უფლებით.

6.3. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული დამფუძნებელი წევრები არიან ასოციაციის სრული წევრები. ამას გარდა, ასოციაციის სრული წევრები ასევე არიან:

6.3.1 ნიკო გიორგაძე
(პ/ნ 01024071212, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 14გ, ბინა 2);

6.3.2 ეკატერინე დადიანი
(პ/ნ 01027074590, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 7 ბ. 76ა);

6.3.3 თინათინ ბარათაშვილი
(პ/ნ 01019074318, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N 34, ბინა 4);

6.3.4 დავით ქავთარაძე
(პ/ნ 0103oo53998, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. N 7 ბ. 16 (ყოფ. ლენინგრადის));

6.3.5 დიანა სოხაშვილი
(პ/ნ 01005031531, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სანზონის დასახლება, კორპუსი 3გ, ბინა 27);

6.3.6 ლუკა ხიზანიშვილი
(პ/ნ 12001100115, იურიდიული მისამართი: ქ. გარდაბანი, ს. კრწანისი მე–6 ქ. N 10);

6.3.7 მურმან გურგენიძე
(პ/ნ 01024077588, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი, N 45, ბინა 27);

6.3.8 ქეთევან არაბული
(პ/ნ 01011086915, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 95);

6.3.9 ბექა თევდორაშვილი
(პ/ნ 01024078848, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩა, N 28 (ყოფ. ორჯონიკიძის));

6.3.10 ელენე მესხი
(პ/ნ 01024086424, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 17).

6.4. ასოციაციის სრული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას: აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი; არის საქართველოს მოქალაქე ან სწავლობს საქართველოს სახელმწიფო ან კერძო უნივერსიტეტში; არის ფიზიკის საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამის სტუდენტი; იზიარებს ასოციაციის მიზნებსა და იცავს წინამდებარე წესდების, ასოციაციის მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს; სრული წევრობის მსურველმა პირმა წინამდებარე წესდებით დადგენილი წესით, გაწევრიანების მოთხოვნით, მიმართა ასოციაციას და ამ წესდებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად მიღებული იქნა ასოციაციის სრულ წევრად.

6.5. ასოციაციის სრული წევრობის მსურველი პირი ასოციაციის გამგეობას (შემდგომში "გამგეობა") მიმართავს წერილობითი განცხადებით ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები: პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, და შესაბამისი მინდობილობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში; ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ; პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

6.6. გაწევრიანების შესახებ პირის განცხადების საფუძველზე ასოციაციაში გაწევრიანების ან გაწევრიანებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის მიერ ფარული კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით, განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში რის თაობაზეც ეცნობება განმცხადებელს.

6.7. ასოციაციის ასოცირებული წევრის სტატუსის მინიჭება შეუძლია გამგეობას ან თავმჯდომარეს წევრობის მსურველთან სიტყვიერი გასაუბრების ან/და ასოციაციის სრული წევრ(ებ)ის რეკომენდაციის ნიადაგზე.

6.8. პირი ასოციაციის წევრის სტატუსს იძენს გამგეობის მიერ მისი გაწევრიანების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

მუხლი 7. ასოციაციის წევრის უფლება-მოვალეობები

7.1. ასოციაციის სრულ წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;
- აირჩიოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების წევრები, წარადგინოს კანდიდატები და ჰქონდეს ხმის უფლება;
- არჩეულ იქნას ასოციაციის მმართველობითი ორგანოების წევრად;
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
- გაეცნოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის მმართველობითი ორგანოებისა და პირების საქმიანობის შესახებ, რომელიც უშუალოდ ეხება ასოციაციის ფუნქციონირებას;
- ასოციაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;
- თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.

7.2. ასოციაციის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში;
- გაეცნოს ასოციაციის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- თავისი სურვილით გავიდეს ასოციაციიდან.

7.3. ასოციაციის ყველა წევრი ვალდებულია:

- დაიცვას ასოციაციის წესდებისა და ასოციაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოთხოვნები;
- ასოციაციის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებისას ხელი შეუწყოს ასოციაციის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას; დაიცვას და გაუფრთხილდეს ასოციაციის რეპუტაციას, ავტორიტეტსა და ქონებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აანაზღაუროს დამდგარი ზიანი;
- წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო გადასახადი;
- საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილება წარუდგინოს ასოციაციას ცვლილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში.

მუხლი 8. ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

8.1. ასოციაციის წევრს ასოციაციის წევრობა შეუწყდება:

ა. ნებაყოფლობით წევრის განცხადების საფუძველზე;

ბ. წევრის გარდაცვალების შემთხვევაში;

გ. საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში;

დ. სტუდენტის სტატუსის დაკარგვის შემთხვევაში;

ე. ისეთი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს;

ვ. წესდებითა და ასოციაციის მიერ მიღებული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

ზ. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან სერიოზულ საფრთხეს უქმნის ასოციაციის რეპუტაციასა და ავტორიტეტს; ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის ქონებისადმი ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს;

თ. არასაპატიო მიზეზით ასოციაციის საერთო კრებაში, ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის სისტემატურად თავის არიდების შემთხვევაში;

ი. სხვა ისეთი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომელთა შეფასების შემდეგ გამგეობა მიზანშეწონილად მიიჩნევს წევრის წევრობის შეწყვეტას.

8.2. წინამდებარე წესდების 8.1 მუხლის „გ“–„ი” და პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ მიიღება გამგეობის მიერ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

8.3. ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამგეობის გადაწყვეტილება ეცნობება წევრს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, გარდა წინამდებარე წესდების 8.1 მუხლის „ა” „ბ” პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და წევრი კარგავს ასოციაციის წევრობის სტატუსს.

თავი IV. ასოციაციის მართვის ორგანოები

მუხლი 9. მართვის ორგანოები

9.1. ასოციაციის მართვის ორგანოებია ასოციაციის საერთო კრება (შემდეგში "საერთო კრება") და გამგეობა.

მუხლი 10. საერთო კრება

10.1. ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და იგი მოიწვევა გამგეობის ან ასოციაციის თავმჯდომარის მიერ. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია ასოციაციის სრულ წევრთა ნახევარზე მეტი. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში განმეორებითი საერთო კრება იმავე დღის წესრიგით მოიწვევა 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. განმეორებითი საერთო კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

10.2. საერთო კრებაზე სრული წევრი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ. საერთო კრებას სრული წევრი შესაძლოა ესწრებოდეს და ნებისმიერ საკითხზე ხმას აძლევდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. ასევე დასაშვებია, რომ განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიო ჩაწერა ან/და ტრანსლირება, ასევე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხორბა, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების თავმჯდომარეს. საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ან/და ტელეკომუნიკაციების საშუალებით. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, სრულ წევრებს კრებამდე შეუძლიათ თავისი გადაწყვეტილება შეატყობინონ წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელეკონფერენციით ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით.

10.3. რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოთხოვნისა და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნის უფლება აქვთ სრულ წევრთა არანაკლებ 10%-ს (ათი პროცენტი) ან აღმასრულებელ დირექტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.4. საერთო კრების დღის წესრიგის შემუშავებასა და ასოციაციის სრული წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას უზრუნველყოფს ასოციაციის თავმჯდომარე. ასოციაციის თავმჯდომარე ასევე უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების 10.3 მუხლით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას. თუ ასოციაციის თავმჯდომარე ნებისმიერი მიზეზით ვერ ასრულებს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებებს, ამ ვალდებულებების შესრულება ეკისრება ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს..

10.5. ასოციაციის საერთო კრება ტარდება საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის ასოციაციის ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფში გამოქვეყნებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) დღისა.

10.6. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით სარგებლობა წინამდებარე წესდების 10.3 მუხლით განსაზღვრულ პირებს შეუძლიათ 10.5 მუხლით გათვალისწინებული დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა.

10.7. წინამდებარე წესდების 10.6. მუხლით დადგენილი დღის წესრიგის ცვლილების/ცვლილებების მოთხოვნის უფლების განხორციელების შემთხვევაში დღის წესრიგში ცვლილებების გამოქვეყნება წარმოებს არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

10.8. საერთო კრებას სათავეში უდგასასოციაციის თავმჯდომარე. თუ ასოციაციის თავმჯდომარე ნებისმიერი მიზეზით ვერ ასრულებს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვალდებულებებს, ამ ვალდებულებების შესრულება ეკისრება ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილეს.

10.9. საერთო კრების მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ასოციაციის თავმჯდომარე ან 10.8 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.

10.10. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა. ასოციაციის წესდებაში/სარეგისტრაციო განაცხადში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ. გამგეობის წევრების, მათ შორის თავმჯდომარის არჩევა და გათავისუფლება;

გ. საწევრო გადასახადის ოდენობისა და გადახდის პირობების დამტკიცება;

დ. წინამდებარე წესდების მე-15 და მე-17 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

ე. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება.

10.11. წინამდებარე წესდების 10.10 მუხლით გათვალისწინებული საკითხების გარდა საერთო კრებაზე ასევე ხორციელდება ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშების მოსმენა გაწეული საქმიანობის შესახებ.

10.12. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, გარდა წინამდებარე წესდების 10.10 მუხლის “ა” პუნქტით გათვალისწინებული საკითხისა, რისთვისაც საჭიროა დამსწრე წევრთა ხმების 2/3; ხოლო ასოციაციის მიზნის შეცვლასთან და 10.10 მუხლის “დ” პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისათვის მოითხოვება ასოციაციის ყველა სრული წევრის ხმათა 4/5. ასოციაციის ყველა სრულ წევრს აქვს თითო ხმა. ხმის გადაცემა დასაშვებია ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

10.13. კენჭისყრა საერთო კრებაზე არის ღია, გარდა წინამდებარე წესდების 10.10 მუხლის “ბ” პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა.

10.14. ამ წესდების 10.13 მუხლით განსაზღვრულის მიუხედავად, საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრით.

მუხლი 11. გამგეობა

11.1. ასოციაციის მართვის ორგანოა ასოციაციის გამგეობა, რომელიც შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან. გამგეობის წევრები არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადით აირჩევა ასოციაციის საერთო კრების მიერ. გამგეობის წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ ასოციაციის სრული წევრი. გამგეობის წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი წევრის არჩევამდე. ასოციაციის თავმჯდომარე და ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე იმავდროულად არის გამგეობის წევრი. გამგეობის წევრები მათი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან ანაზღაურებას არ იღებენ.

11.2. გამგეობის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ამავე წესდების 11.12 მუხლით გათვალისწინებული თითოეული თანამდებობისთვის როგორც კანდიდატურის წარდგენა, ასევე კენჭისყრა ტარდება სათითაოდ. დამატებითი კენჭისყრა ტარდება თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურაზე, რომელიც ამოირჩევა ახლად შერჩეული გამგეობის წევრთაგან და რომლისთვისაც წევრების მიერ კანდიდატურის წარდგენა არ ხდება. ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაზე გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება.

11.3. გამგეობის სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. გამგეობის სხდომა მოიწვევა ასოციაციის გამგეობის ნებისმიერი წევრის მიერ. გამგეობის წევრებს ეცნობებათ სხდომის მოწვევისა და დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე არაუადრეს 3 (სამი) დღისა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ გამგეობის სხდომის ჩატარებასა და გამგეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას დაუყოვნებლივ საჭიროებს ასოციაციის ინტერესები, - სხდომამდე 1 (ერთი) დღით ადრე. გამგეობის სხდომა ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ასოციაციის ნებისმიერ წევრს.

11.4. გამგეობა იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა. ასოციაციაციაში წევრის გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა; ასოციაციის წევრობის შეწყვეტა; ასოციაციის წევრობის შენარჩუნება; ასოციაციის იმ წევრისთვის სარეკომენდაციო–გამაფრთხილებელი წერილით მიმართვა, რომლის საქმიანობაც ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს, ან რომელიც უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს; ასევე პირისათვის ასოციაციის მრჩეველთა საბჭოს წევრის სტატუსის მინიჭების საკითხი;

ბ. ასოციაციის შინაგანაწესის, დებულებებისა და სხვა შიდა ნორმატიული აქტების დამტკიცება;

გ. ასოციაციის აპარატის სტრუქტურის დამტკიცება; საერთო კრების მიერ აღმასრულებელი დირექტორის არჩევის შემთხევაში მისი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრა;

დ. საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება;

ე. ყოველ 6 თვეში ერთხელ ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიშის მოსმენა მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და ამ საქმიანობის შეფასება.

ბ. მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების, კომიტეტების, ჯგუფების შექმნა, მათი შემადგენლობებისა და უფლებამოსილებების განსაზღვრა;

ზ. საერთო კრების მოწვევა;

თ. ასოციაციის წესდების/წესდებაში (სარეგისტრაციო განაცხადში) ცვლილებების პროექტის შემუშავება და საერთო კრებაზე წარდგენა დასამტკიცებლად;

ი. ასოციაციის სიმბოლიკის შემუშავება და დამტკიცება;

კ. ასოციაციის მიერ ისეთი ქონების შეძენის, გასხვისების ან ვალდებულებით დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი); ამასთან, ასოციაციის მიერ სხვა ნებისმიერი ისეთი გარიგების გაფორმების თაობაზე, რომლის ღირებულება აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს (ათი პროცენტი);

ლ. ასოციაციის წევრებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობის ორგანიზება;

მ. გაწეული საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა და საერთო კრებაზე წარდგენა;

ნ. ასოციაციის მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცება და სტრატეგული გეგმის შემუშავება;

ო. სხვა ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წინამდებარე წესდების შესაბამისად არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოთა კომპეტენციას;

11.5. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ან მასზე წარმოდგენილია გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობის გადაწყვეტილებები მიიღება გამგეობის წევრთა უბრალო უმრავლესობით. გამგეობის ყველა წევრს აქვს თითო ხმა. გამგეობის წევრი შესაძლოა სხდომას ესწრებოდეს და ნებისმიერ საკითხზე ხმას აძლევდეს ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების გამოყენებით. ასევე დასაშვებია, რომ განხორციელდეს გამგეობის კრების ვიდეო და აუდიო ჩაწერა ან/და ტრანსლირება, ასევე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება თავმჯდომარეს.

11.6. გამგეობის სხდომა შეიძლება ჩატარდეს როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ ან/და ტელეკომუნიკაციების საშუალებით. ამასთან, აუცილებლობის შემთხვევაში, გამგეობის წევრებს სხდომამდე შეუძლიათ თავისი გადაწყვეტილება შეატყობინონ წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ტელეკონფერენციით ან უფლებამოსილი წარმომადგენლის საშუალებით.

11.7. გამგეობის წევრია გამგეობის თავმჯდომარეც, რომელსაც გამგეობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საერთო კრება.

11.8. გამგეობის სხდომაზე კენჭისყრა ტარდება ღიად, გარდა წინამდებარე წესდების 11.4 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტებით გათვალისწინებული საკითხებისა.

11.9. გამგეობის სხდომის მიმდინარეობასა და მიღებულ გადაწყვეტილებებზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის სხდომის თავმჯდომარე.

11.10. გამგეობის წევრის უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდება:

ა. ასოციაციის წევრობის შეწყვეტისას;

ბ. არასაპატიო მიზეზით ზედიზედ სამი სხდომის გაცდენის შემთხვევაში;

გ. პირადი განცხადების საფუძველზე.

11.11. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის წევრი ხდება ის პირი, რომელსაც აირჩევენ გამგეობის დარჩენილი წევრები ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამ არჩევნებში ვერ მიიღებს მონაწილეობას გამგეობის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი. ახლად არჩეული გამგეობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში.

11.12. გამგეობის წევრებს, მათი თანამდებობების მიხედვით, აქვთ შემდეგი ვალდებულებები:

1. თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია წინამდებარე წესდებით;

2. მეჭურჭლეთუხუცესი ვალდებულია:
ა. აღრიცხოს ასოციაციის ბიუჯეტი;
ბ. გამგეობის გადაწყვეტილების შესაბამისად, შეასრულოს საბანკო გადარიცხვები ასოციაციის ანგარიშიდან;
გ. წარადგინოს ფინანსური ანგარიშები გამგეობის სხდომებზე, თუ ამას ითვალისწინებს სხდომის წესრიგი.

3. მწიგნობართუხუცესი ვალდებულია:
ა. დაადგინოს, მოაწესრიგოს და შეინახოს ასოციაციის იურიდიული დოკუმენტები;
ბ. მოამზადოს ბრძანებების პროექტები გამგეობისა თუ საერთო სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად.

4. წევრთუხუცესი ვალდებულია:
ა. უზრუნველყოს აქტიური კომუნიკაცია ასოციაციის წევრებსა და გამგეობას შორის;
ბ. წევრობით დაინტერესებულ გარეშე პირებს მიაწოდოს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობასა და გაწევრიანებასთან დაკავშირებული პროცედურის შესახებ;
გ. აღრიცხოს ასოციაციის სრული და ასოცირებული წევრების სია და აცნობოს გამგეობას ამ სიაში შესატანი ცვლილებების შესახებ.

5. პროექტორი ვალდებულია:
ა. ზედამხედველობა გაუწიოს ასოციაციის წევრების მიერ ასოციაციის სახელით წამოწყებულ პროექტებს;
ბ. გამგეობის სხდომაზე წარადგინოს მიმოხილვა მიმდინარე და დასრულებული პროექტების სტატუსებთან დაკავშირებით, თუ სხდომის წესრიგი ამას ითვალისწინებს.
გ. პროექტად შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო რესურსის შექმნა, ბლოგის მართვა, ნებისმიერი საქმიანობა, რაც აწარმოებს საგანმანათლებლო თუ სხვა სახის პროდუქტებს.

6. ღონის მაძიებელი ვალდებულია:
ა. ზედამხედველობა გაუწიოს ასოციაციის წევრების მიერ ასოციაციის სახელით ჩატარებულ ღონისძიებებს;
ბ. გამგეობის სხდომაზე წარადგინოს მიმოხილვა მიმდინარე და დასრულებული ღონისძიებების სტატუსებთან დაკავშირებით, თუ სხდომის წესრიგი ამას ითვალისწინებს.

გ. ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს კონფერენციის, საჯარო ლექციების სერიის, ოლიმპიადისა თუ სხვა სახის აქტივობის მოწყობა.

7. პოსტერი ვალდებულია:
ა. ასოციაციის საქმიანობის შესახებ სოციალურ ქსელში განათავსოს სიახლეები პოსტების სახით;
ბ. წარმართოს კომუნიკაცია პოტენციურ სპონსორებთან ამა თუ იმ პროექტისა თუ ღონისძიებისთვის ფინანსების მოპოვების მიზნით.

მუხლი 12. ასოციაციის თავმჯდომარე; თავმჯდომარის მოადგილე

12.1. ასოციაციის თავმჯდომარეს ფარული კენჭისყრით გამგეობის უფლებამოსილების ვადით ირჩევს საერთო კრება გამგეობის წევრთაგან. ასოციაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

12.2. ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად ხელმძღვანელობს გამგეობას, მართავს ასოციაციას და ერთპიროვნულად წარმოადგენს ასოციაციას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

12.3. ასოციაციის თავმჯდომარე:

ა. დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას და მესამე პირებთან წარმომადგენლობას;

ბ. თავმჯდომარეობს საერთო კრებისა და გამგეობის სხდომებს;

გ. ასოციაციის სახელით დებს ნებისმიერი სახის გარიგებას; ხოლო წინამდებარე წესდების 11.4. მუხლის “კ” პუნქტით გათვალისწინებულ გარიგებებს დებს გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად; ხელს აწერს დოკუმენტაციას ასოციაციის სახელით;

დ. იწვევს საერთო კრებას, უზრუნველყოფს საერთო კრების დღის წესრიგის შემუშავებასა და ასოციაციის წევრებისათვის გასაცნობად წარდგენას, ასევე უზრუნველყოფს წინამდებარე წესდების 10.3. მუხლით განსაზღვრული პირების მიერ მოთხოვნილი რიგგარეშე საერთო კრების მოწვევას და დღის წესრიგში ცვლილებების შეტანას;

ე. ზედამხედველობს ასოციაციის წევრთა შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციისა და განახლების პროცესს;

ვ. ზედამხედველობს ასოციაციის მართვისა და კონტროლის ორგანოების მიერ მიღებული სხვადასხვა აქტებისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაციას და აღრიცხვას;

ზ. აღასრულებს გამგეობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს;

თ. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის აპარატის სტრუქტურას, თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, შინაგანაწესს, დებულებას და სხვადასხვა სახის შიდა ნორმატიული აქტის პროექტებს;

ი. გამგეობის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის თანამშრომლებს; ზედამხედველობას უწევს ასოციაციის აპარატის თანამშრომელთა მუშაობას;

კ. ყოველწლიურად შეიმუშავებს და გამგეობას წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის შესახებ ანგარიშს; ასევე ანგარიშს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ; წარუდგენს გამგეობას წინადადებებს ასოციაციის მიერ შემდგომში განსახორციელებელი თუ დასაგეგმი საქმიანობების თაობაზე;

ლ. დაუყოვნებლივ აცნობებს გამგეობას იმ გარემოებათა შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ ასოციაციის მდგომარეობაზე.

12.4. ასოციაციის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით წინამდებარე წესდების 12.3. მუხლის „გ“-„ლ” პუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება შეიძლება დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს საერთო კრების მიერ აღმასრულებელი დირექტორის არჩევის შემთხვევაში.

12.5. ასოციაციის თავმჯდომარეს ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.

12.6. ასოციაციის თავმჯდომარის მიერ მისი უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის/მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის უფლებამოსილებებსა და მოვალეობებს ახორციელებს თავმჯდომარის მოადგილე.

12.7. თავმჯდომარის გადადგომის ან გამგეობის მიერ მისი გადაყენების შემთხვევაში, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე ასოციაციას ეყოლება თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, რომელსაც წინასწარ, თავმჯდომარედ არჩევის მომენტში დაასახელებს ასოციაციის თავმჯდომარე გამგეობის წევრებიდან.

მუხლი 13. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

13.1. ასოციაციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ასოციაციას შეიძლება ჰყავდეს აღმასრულებელი დირექტორი (შემდგომში “აღმასრულებელი დირექტორი”). აღმასრულებელ დირექტორს ფარული კენჭისყრით ირჩევს საერთო კრება, რომლის უფლებამოსილების ვადას ასევე განსაზღვრავს საერთო კრება. აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება უგრძელდება ახალი დირექტორის არჩევამდე, ან/და მის მის გათავისუფლებამდე.

13.2. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იყოს ისეთი პირიც, რომელიც არ არის ასოციაციის წევრი და რომელსაც მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესაბამისად შეუძლია განახორციელოს აღნიშნული თანამდებობისათვის გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

13.3. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის სახსრებიდან იღებს ანაზღაურებას, რომლის ოდენობაც და გადახდის პირობებიც განისაზღვრება გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

13.4. აღმასრულებელი დირექტორი, მისი არჩევის შემთხვევაში, ახორციელებს ასოციაციის ყოველდღიურ, მიმდინარე მართვას და ანგარიშვალდებულია ასოციაციის თავმჯდომარისა და გამგეობის წინაშე.

13.5. აღმასრულებელი დირექტორი ასოციაციის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს წინამდებარე წესდების 12.3 მუხლის „გ"-„ლ" პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

13.6. აღმასრულებელ დირექტორს ვადამდე შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად აღმასრულებელი დირექტორის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მის მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა ან ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ზიანს აყენებს ან ქმნის ასოციაციის საქმიანი რეპუტაციისა და ავტორიტეტისათვის ზიანის მიყენების სერიოზულ საფრთხეს.

მუხლი 14. მრჩეველთა საბჭო

14.1. პირი რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, თუმცა ვერ აკმაყოფილებს ასოციაციის წევრობისათვის აღნიშნული წესდებით განსაზღვრულ სტანდარტებს, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება არჩეულ იქნეს მრჩეველთა საბჭოში;

14.2. მრჩეველთა საბჭოს წევრებზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრების უფლება-მოვალეობანი.

თავი V. ასოციაციის ქონება

მუხლი 15. ასოციაციის შემოსავლის წყაროები

15.1. ასოციაციის შემოსავლის წყაროებია:

ა. ასოციაციის წევრთა საწევრო შენატანები;

ბ. გრანტით მიღებული სახსრები და ქონება;

გ. შემოწირულობები;

დ. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

15.2. ასოციაციის მიერ საწესდებო მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად გამგეობის მიერ წესდება საწევრო გადასახადის ოდენობა და გადახდის წესი. საწევრო გადასახადის გადახდას ახორციელებს ასოციაციის ყველა წევრი.

15.3. ასოციაციის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე გამგეობა ყოველწლიურად ადგენს ანგარიშს და წარუდგენს საერთო კრებას.

15.4. დაუშვებელია ასოციაციის ქონების განაწილება მის წევრებს შორის.

15.5. ქონება, რომელიც შეძენილია ასოციაციის მიერ მისი საქმიანობის პროცესში წარმოადგენს ასოციაციის საკუთრებას. ასოციაცია ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას საკუთარი შეხედულებისამებრ წინამდებარე წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად, საქველმოქმედო მიზნებიდან გამომდინარე ან მისი ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად.

მუხლი 16. მონაცემთა შენახვა და დაცვა

16.1. ასოციაციას აქვს უფლება შეაგროვოს და ელექტრონულად შეინახოს ისეთი ინფორმაცია წევრებზე, როგორიცაა მათი იურიდიული მისამართი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ა.შ. ეს ინფორმაცია გამოყენებული შეიძლება იქნას ასოციაციის დოკუმენტების შევსებისას და ასოციაციის სხვა ტიპური საქმიანობისას. წევრების პირად ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება მხოლოდ ასოციაციის გამგეობას, რომელსაც თავის მხრივ აქვს უფლება გამოიყენოს ეს მონაცემები მხოლოდ კეთილსინდისიერად, ასოციაციის მიზნებისთვის.

თავი VI. ასოციაციის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

მუხლი 17. ასოციაციის რეორგანიზაცია

17.1. დაუშვებელია ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ასოციაციის ლიკვიდაცია

18.1. ასოციაციის ლიკვიდაცია წარმოებს საერთო კრების გადაწყვეტილებით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18.2. ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;

18.3. დაუშვებელია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის წევრებს, ასევე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლების მქონე პირებს შორის.

18.4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება შეიძლება გადაეცეს ანალოგიური ან მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ასოციაციის თავმჯდომარე:

გიორგი ჭანტურია (პ/ნ 01005044561)

- -

/ გიორგი ჭანტურია /

თარიღი: 13.04.2023